ფუნიკულიორის კაფე

არქიტექტურული ესკიზი

NS





განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიოტრია და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა თბილისის სამხრეთ-დასავლელით, მთაწმინდის ფერდზე მდებარეობს.ფუნიკულიორის ზემო პლატო თბილისისთვის ერთ-ერთი ყველაზე ღირებულ ადგილმდებარეობად შეიძლება მოვიაზროთ,მასზე განთავსებული ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ობიექტების გათვალისწინებით.

1905 წელს დასრულებული საბაგირო რკინიგზის ზედა სადგურისა და შემდგომ უკვე რესტორნის მოცულობა, არაერთ მხატვარსა თუ ფოტოგრაფს აღუბეჭდია თავიანთ ნამუშევრებში. 1955 წელს, აქვე განთავსდა თბილისის საკომუნიკაციო ანძა, რამაც შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ობიექტი ქალაქის სავიზიტო ბარათად აქცია თავიანთი მასშტაბის , კონტექსტის და ქალაქის სხვადასხვა წერტილებიდან ვიზუალური კავშირების მრავალფეროვნებით.

სწორედ ამიტომ, ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ ამ ობიექტების მნიშვნელობა ჩვენი ქალაქისთვის და არ მოვახდინოთ უხეში ჩარევა გარემოში, რომელიც თუნდაც მცირე მასშტაბით გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს ფერდის საერთო აღქმაზე.საპროექტო ტერიტორიას მთავარი შესასვლელის მხრიდან ესაზღვრება ღია ავტოსადგომი,ხოლო დანარჩენი სამი მხარე შერწყმულია მის გარშემო არსებულ ლანდშაფტთან და გამწვანებასთან.

დღეს არსებული მდგომარეობით, ტერიტორიაზე ნაწილობრივ გადახურული მცირეზომის ნაგებობაა განთავსებული, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია და ნეგატიურად მოქმედებს გარემოზე. ასევე, აღნიშნული ნაგებობა ხელს უშლის ქალაქის ხედს და სივრცის უფრო მეტად გახსნას ავტოსადგომის მხრიდან.

ჩვენი ესკიზის კონცეფცია მოიაზრებს მაქსიმალურად გამჭოლ პირველ სართულს
რაც საერთო ჯამში ხელს
შეუწყობს ვიზუალურად გამჭვირვალე და მსუბუქი მოცულობის ფორმირებას. ამგვარი მიდგომით იქმნება გარემოსთან კარგად ინტეგრირებული მოცულობა, რომელიც თავისი ხასიათით მთლიანად ფონს უთმობს და აკეთილშობილებს არსებულ გარემოს.









ისტორიულ ფლატფორმაზე შეთანხმებული პროექტი ითვალისწინებს არსებული კედლის (3.1 მეტრი) დანგრევას და უფრო მაღალის (4.25 მეტრი) აშენებას. მიუხედავად მსგავსებისა, ახალი კედელი მკვეთრად განსხვავებული კონფიგურაციის იქნება, ასევე განსხვავებული ლითონის მოაჯირით.

ჩვენი გუნდის წარმოდგენილი საპროექტო წინადადება არ ფარავს კედელს და კედლის პლატფორმიდან ხედს.



მონტაჟი_ხედი ქალაქიდან #2

საპროექტო ტერიტორია



ხედი ქალაქიდან #1

საპროექტო ტერიტორია

